

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის სექტორის მარეგულირებელი ორგანოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის სისრულეში მოყვანა.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტი მიზნად ისახავს ნავთობისა და გაზის სექტორის მარეგულირებელი ორგანოს სამართლებრივ ფორმირებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სექტორის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის ამ უკანასკნელის მიერ უმნიშვნელოვანესი ფუნქციების განხორციელება.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში მიმდინარე წლის მაისის თვეში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, „ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოს“ შეეცვალა სტატუსი და ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო. „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შემოადინებული ორგანოს სამართლებრივი ფორმირება ვერ განხორციელდა, რამაც განაპირობა ამ უკანასკნელის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ისეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციების განუხორციელებლობა, როგორიცაა ლიცენზიის გაცემა, სექტორში სპეციფიკური ხასიათის ნორმატიული აქტების მიუღებლობა და სხვა.

ამრიგად, ნავთობისა და გაზის სექტორში მოქმედი სუბიექტების ფუნქციონირებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია მარეგულირებელი ორგანოს სამართლებრივი ფორმირება.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

##### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება წინამდებარე კანონპროექტი, მისი მიღება არ განაპირობებს ფინანსურ შედეგებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი/პრინციპი:**

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადები, მოსაკრებლები ან სხვა სახის გადასახადი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაშია.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:**

კანონპროექტი შემუშავებული და მომზადებული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ.**

პროექტთან დაკავშირებით, წერილობითი შეფასება არ შემოსულა.

**დ.გ.) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.

*პროექტი*

## საქართველოს კანონი

**„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“  
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 30.09.2002, მუხ. 125) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ ორგანოზე, რომელიც ამ კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს

დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს. ამ კანონის მე-9 მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის და მე-13 მუხლი არ ვრცელდება საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოზე“;

ბ) მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო“;

2. მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) კომისიონერი – პირი, რომელიც ამ კანონითა და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შესაბამისი კანონით დადგენილი წესით, სათანადო აქტის საფუძველზე დანიშნულია ამ მარეგულირებელი ორგანოს წევრად, აგრეთვე საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსი“;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,  
2006 წლის - - - დეკემბერი

## განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე  
„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“  
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის სექტორის მარეგულირებელი ორგანოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის სისრულეში მოყვანა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის სექტორის მარეგულირებელი ორგანოს სამართლებრივი ფორმირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სექტორის ეფექტიანად ფუნქციონირება ამ ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული ფუნქციების განხორციელების გზით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები გამომდინარეობს „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტიდან, რომლის მიხედვით ხდება ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის იურიდიული სტატუსის შეცვლა. შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტით ხდება სათანადო ცვლილებების განხორციელება „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში და მე-3 მუხლის და „ე“ ქვეპუნქტებში. კანონპროექტის თანახმად, „ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ იცვლება „ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოთი“, რომელიც არ არის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, თუმცა მასზე ვრცელდება კანონით გათვალისწინებული დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს სტატუსი.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება წინამდებარე კანონპროექტი, მისი მიღება არ განაპირობებს ფინანსურ შედეგებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი/პრინციპი:**

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადები, მოსაკრებლები ან სხვა სახის გადასახადი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაშია.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტი შემუშავებული და მომზადებული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ.

პროექტთან დაკავშირებით, წერილობითი შეფასება არ შემოსულა.

დ.გ.) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.

**საქართველოს კანონი**

**„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 86) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2.

ამ კანონის მიზნებისათვის ცნებაში „თანამდებობის პირი“ იგულისხმებიან შემდეგი პირები:

- ა) საქართველოს პრეზიდენტი;
- ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;
- გ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;
- დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;
- ე) საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე;
- ვ) საქართველოს კანცელარიის უფროსი და მისი მოადგილე;
- ზ) საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი და მათი მოადგილეები;
- თ) საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;
- ი) საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

- კ) საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი;
- ლ) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;
- მ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟოს, საბაჟო სამმართველოს და საბაჟოს ხელმძღვანელები;
- ნ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციების ხელმძღვანელები;
- ო) ცენტრალური გამწვევი კომისიის თავმჯდომარე, გამწვევი კომისიის რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის სამხედრო კომისრები;
- პ) საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, პრეზიდენტის წევრი, დეპარტამენტის, რეგიონალური და ქალაქის ბიუროების ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატების ხელმძღვანელები;
- ჟ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი;
- რ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი;
- ს) საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი;
- ტ) საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი;
- უ) საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსი და მისი მოადგილე;
- ფ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი;
- ქ) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე;
- ღ) რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი ქუთაისი და ცხინვალი) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები;
- ყ) რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი პირველი მოადგილეები;
- შ) მოსამართლე;
- ჩ) საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი მოადგილე;
- ც) საქართველოს გენერალური პროკურატურის სამმართველოს, სამსახურის ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, სასჯელთა აღსრულებისას კანონის დაცვაზე ზედამხედველი პროკურორი, საოლქო, რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის პროკურორები;
- ძ) საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის სექტორის მარეგულირებელი ორგანოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის სისრულეში მოყვანა.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის სექტორის მარეგულირებელი ორგანოს სამართლებრივი ფორმირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სექტორის ეფექტიანად ფუნქციონირება ამ ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული ფუნქციების განხორციელების გზით.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები გამომდინარეობს „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტიდან. წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტით ხდება ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის იურიდიული სტატუსის შეცვლა და იგი ყალიბდება როგორც „ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო“. შესაბამისად, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი საჭიროებს სათანადო ცვლილებას, რომლის მიხედვით, თანამდებობის პირში იგულისხმება ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსი და მისი მოადგილე.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

##### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება წინამდებარე კანონპროექტი, მისი მიღება არ განაპირობებს ფინანსურ შედეგებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი/პრინციპი:**

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადები, მოსაკრებლები ან სხვა სახის გადასახადი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაშია.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:**

კანონპროექტი შემუშავებული და მომზადებული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ.**

პროექტთან დაკავშირებით, წერილობითი შეფასება არ შემოსულა.

**დ.გ.) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.

*პროექტი*

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებანი, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 96<sup>2</sup> მუხლის სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 96<sup>2</sup>. საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევა

საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს ნორმატიული აქტებით დადგენილ, ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიით, ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ტრანსპორტირების ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე.“.

2. 96<sup>3</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 96<sup>3</sup>. ნავთობისა და გაზის სექტორში საშიში საწარმოო ობიექტის უნებართვოდ ექსპლუატაცია

ნავთობისა და გაზის სექტორში საშიში საწარმოო ობიექტის ექსპლუატაცია საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს ნებართვის გარეშე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე.“.

3. 229<sup>3</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 229<sup>3</sup>. საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო

საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო განიხილავს „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების და ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საქმიანობის პროცესში ჩადენილ იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 47-ე, 57<sup>2</sup>, 91<sup>1</sup>, 96<sup>2</sup>, 96<sup>3</sup> და 173<sup>5</sup> მუხლებით, ხოლო 56-ე და 57-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონაწილეობით.“.

4. 239-ე მუხლის 36-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„39. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების და ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საქმიანობის სფეროში ამ კოდექსის 47-ე, 57<sup>2</sup>, 91<sup>1</sup>, 96<sup>2</sup>, 96<sup>3</sup> და 173<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირი, ხოლო 56-ე და 57-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს

ადგენენ ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,  
2006 წლის - - - დეკემბერი

### განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე  
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის სექტორის მარეგულირებელი ორგანოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის სისრულეში მოყვანა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის სექტორის მარეგულირებელი ორგანოს სამართლებრივი ფორმირება, რათა

უზრუნველყოფილ იქნეს სექტორის ეფექტიანად ფუნქციონირება ამ ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული ფუნქციების განხორციელების გზით.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები გამომდინარეობს „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტიდან, რომლის მიხედვით ხდება ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის იურიდიული სტატუსის შეცვლა. შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტით ხდება სათანადო ცვლილებების განხორციელება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>2</sup>, 96<sup>3</sup>, 229<sup>3</sup> მუხლებში და 239-ე მუხლის 36-ე ნაწილში, სადაც „ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ იცვლება „ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოთი“.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება წინამდებარე კანონპროექტი, მისი მიღება არ განაპირობებს ფინანსურ შედეგებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადელის ოდენობის განსაზღვრის წესი/პრინციპი:**

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადები, მოსაკრებლები ან სხვა სახის გადასახადი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაშია.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:**

კანონპროექტი შემუშავებული და მომზადებული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ.**

პროექტთან დაკავშირებით, წერილობითი შეფასება არ შემოსულა.

**დ.გ.) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.

**საქართველოს კანონი**

**„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 19 ნოემბერი, 1996, გვ. 1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შ) საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება;“.

2. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება;“.

3. 15<sup>7</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 15<sup>7</sup>**

1. საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს ნორმატიული აქტია სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ „ნავთობისა და გაზის შესახებ“ და „საშიში საწარმოო ობიექტის

უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში“.

4. მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება, საქართველოს სახელმწიფო შეყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება, საქართველოს მინისტრის ბრძანება, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება და საქართველოს საგარეო დახვეწვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება;“.

5. 28-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საქართველოს კონტროლის პალატის, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს, საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრისა და სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“, „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, „ნავთობისა და გაზის შესახებ“, „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“, „ტრანსპორტის სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“, „პროდუქციისა და მომსახურების სერთიფიკაციის შესახებ“ და „სტანდარტიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონებითა და მათი რეგლამენტით თუ დებულებებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,  
2006 წლის - - - დეკემბერი

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის სექტორის მარეგულირებელი ორგანოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის სისრულეში მოყვანა.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის სექტორის მარეგულირებელი ორგანოს სამართლებრივი ფორმირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სექტორის ეფექტიანად ფუნქციონირება ამ ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული ფუნქციების განხორციელების გზით.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები გამომდინარეობს „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტიდან, რომლის მიხედვით ხდება ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის იურიდიული სტატუსის შეცვლა. შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტით ხდება სათანადო ცვლილებების განხორციელება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტში, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტში, 15<sup>1</sup> მუხლში, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში და 28 მუხლის მე-3 პუნქტში, სადაც „ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ იცვლება „ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოთი, ხოლო ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს ნორმატიული აქტია სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება წინამდებარე კანონპროექტი, მისი მიღება არ განაპირობებს ფინანსურ შედეგებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი/პრინციპი:**

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადები, მოსაკრებლები ან სხვა სახის გადასახადი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაშია.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:**

კანონპროექტი შემუშავებული და მომზადებული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ.**

პროექტთან დაკავშირებით, წერილობითი შეფასება არ შემოსულა.

**დ.გ.) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი  
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.

*პროექტი*

საქართველოს კანონი

„საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს  
კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო – „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და კონტროლის სფეროში.“.

2. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საშიში საწარმოო ობიექტის კონსტრუირებასთან (შენობა-ნაგებობების დაპროექტების გარდა), ექსპლუატაციასთან, გაუქმებასთან, ექსპლუატაციის შეწყვეტასა და კონსერვაციასთან, საშიშ საწარმოო ობიექტზე გამოყენებული ტექნიკური მოწყობილობის დამზადებასა და მონტაჟთან, გამართვასთან, დიაგნოსტიკასთან, მომსახურებასა და რემონტთან, რკინიგზის ტრანსპორტით საშიში ტვირთის გადაზიდვასთან, ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზის ჩატარებასთან, საწარმოო უსაფრთხოებაში სფეროში პერსონალის მომზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისას და მშენებლობის წარმოებისას საშიში საწარმოო მექანიზმების გამოყენების ნებართვას გასცემს საჯარო სამართლის იურიდიული – საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია, ხოლო ნავთობისა და გაზის სექტორში „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საშიში საწარმოო ობიექტების ექსპლუატაციის ნებართვას გასცემს საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის დასკვნის საფუძველზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,  
2006 წლის - - - დეკემბერი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე  
„საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს  
კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის სექტორის მარეგულირებელი ორგანოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის სისრულეში მოყვანა.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის სექტორის მარეგულირებელი ორგანოს სამართლებრივი ფორმირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სექტორის ეფექტიანად ფუნქციონირება ამ ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული ფუნქციების განხორციელების გზით.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები გამომდინარეობს „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტიდან, რომლის მიხედვით ხდება ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის იურიდიული სტატუსის შეცვლა. შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტით ხდება სათანადო ცვლილებების განხორციელება „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში, სადაც „ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ იცვლება „ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოთი“.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება წინამდებარე კანონპროექტი, მისი მიღება არ განაპირობებს ფინანსურ შედეგებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი/პრინციპი:**

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადები, მოსაკრებლები ან სხვა სახის გადასახადი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:  
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საქართველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:  
კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაშია.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საქართველოს ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:  
კანონპროექტი შემუშავებული და მომზადებული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ.  
პროექტთან დაკავშირებით, წერილობითი შეფასება არ შემოსულა.

დ.გ.) კანონპროექტის ავტორი:  
კანონპროექტის ავტორია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი  
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.